სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან
არსებული საქართველოლოგიის საუნივერსიტეტო-
სასწავლო-სამეცნიერო კვლევების ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
20.15 წლის 20 მარტის №1452 დადგენილებით
და დამტკიცებულია უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
მიერ 20.15 წლის 18 აპრილის №6
გადაწყვეტილებით.

10.03.2015 წ.

თბილისი
2015

1. ზოგადი დებულება

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიის კვლევების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი (შემდგომში ცენტრი) შექმნილია და დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტი №1452 დადგენილებით და სენატის 20... წლის ------ №---- ოქმის №------- გადაწყვეტილებით
- ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, წინამდებარე დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ცენტრი ფუნქციონირებს წინამდებარე დებულების საფუძველზე;
- საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნების სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;
- რექტორის, შესაბამისი დარგის მოადგილის, აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ცენტრის ანგარიშის რიგგარეშე განხილვა.

2. ცენტრის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

- საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად ქართული ენის, ქართული მეტყველების კულტურის, პრაქტიკული სტილისტიკის, მშობლიურ ენაზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციების სწავლებისა და სწავლის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის, ხარისხის გაუმჯობესების გზების კვლევა;
- აზერბაიჯანულენოვანი, თურქულენოვანი, სომხურენოვანი და სხვა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლების მეთოდებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებების კვლევა;

- ქართული ენის დისტანციური სწავლების სასწავლო კურსების დამუშავება, თანამედროვე თურქეთის შემადგენლობაში არსებული სამხრეთ საქართველოს (ისტორიული ზემოქართლის - მესხეთის) მოსახლეობისათვის დისტანციური სწავლების რეალიზება (კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე) და ამ მიზნით სასწავლო პროცესის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების შესატყვისი დარგობრივი ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავება;
- საქართველოს საინჟინრო-ტექნიკური აზრის ქართული და უცხოური წყაროების ძიება, კვლევა, გამოსაცემად მომზადება, ქართული საინჟინრო აზრის ისტორიის შექმნა;
- ევრომედიაში დაცული საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ არსებული მასალების ძიება და თემატურ-პრობლემური კრებულების შექმნა;
- საქართველოს შესახებ მეზობელ ქვეყნებში (რუსეთის ფედერაცია, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ირანი) გამოქვეყნებული პუბლიკაციების ძიება, ანალიზი, სამეზობლო ინფორმაციული პოლიტიკის კვლევა;
- ქართული კლასიკური პუბლიცისტიკის კორპუსის შექმნა და გამოსაცემად მომზადება;
- ქართველი კლასიკოსი პუბლიცისტების მემკვიდრეობის კვლევა;
- უცხოეთის ქართველოლოგიურ ცენტრებთან კავშირ-ურთიერთობების აღდგენა ქართული კულტურის ფასეულობების კულტუროლოგიურ კვლევებში ჩართულობის გაღრმავება-გაფართოების მიზნით;
- რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფოთა საზღვრებში არსებული ქართული სულიერი (ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული) და მატერიალური (ხუროთმოძღვრების) კულტურის ძეგლების იდენტიფიცირება და წყაროთმცოდნეობით-არქეოლოგიური შესწავლა.

3. ცენტრის სტრუქტურისა და მართვის პრინციპები

- ცენტრის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ:

  ა) **სამეცნიერო მიმართულებების** მიხედვით ჩამოყალიბებული სექტორები;

  ბ) დროებითი, მიზნობრივი, თემატური, სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებითი ჯგუფები;

- ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის ძირითადი ბირთვია სამუშაო ჯგუფი - 5 (ხუთი) თანამშრომლის შემადგენლობით.

- **ცენტრის უფროსი უფლებამოსილია:**

  ა) განახორციელოს ცენტრის თანამშრომლების კონტროლი მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურება-განკარგვასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;

  ბ) მოაწყოს ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევებისა და მიმდინარე პროექტების პრეზენტაციები;

  გ) განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული აუცილებელი საქმიანობა;

- ცენტრის უფროსს სამუშაო ჯგუფთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა, სამეცნიერო სამუშაოების შესრულების ვადებზე და ცენტრისათვის ქონების მიზნობრივად გამოყენება-შენახვასა და გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე;
- ცენტრის პერსონალი შედგება სამეცნიერო, სასწავლო და დამხმარე პერსონალისაგან;
- ცენტრის პერსონალს ნიშნავს და სამუშაოდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე;
- ცენტრის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება მისი შემოსავლების მიხედვით;
- იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში მიღებული წესის და ფორმების შესაბამისად;

- ცენტრის ხელმძღვანელი ყოველი საფინანსო წლის ბოლოს ანგარიშს აბარებენ სტუ-ს ანგარიშგება-აღრიცხვის დეპარტამენტს, აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენ-ლობით საბჭოს (სენატს);

4. ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

- ცენტრი განლაგებულია: კოსტავას ქ. 77
- ცენტრი საქმიანობას წარმართავს თვითდაფინანსების პრინციპით. ამავე დროს ის არ არის საფინანსო-საგადასახადო სისტემის განცალკევებული სუბიექტი და წარმოადგენს უნივერსიტეტის საფინანსო სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს; ცენტრის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკას (წესს) განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), რომლის საფუძველზეც საგეგმო-საფინანსო განყოფილება აწარმოებს ფინანსურ მენეჯმენტს;
- გაწეული სამუშაოს ანაზრაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე; ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით;

5. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- ცენტრის რეაორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. დასკვნითი დებულებები

- წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებისთანავე.